

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	24
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები	24
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
7. გაცემული სესხები.....	25
8. ძირითადი საშუალებები.....	27
9. სხვა აქტივები	27
10. გადასახადები.....	28
11. მიღებული სესხები.....	29
12. სხვა ვალდებულებები	30
13. საწესდებო კაპიტალი.....	30
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	31
15. სხვა შემოსავალი, წმინდა.....	31
16. გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	31
17. საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები.....	32
18. საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტის შეძენა.....	32
19. პირობითი ვალდებულებები.....	32
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	33
21. კაპიტალის მართვა	36
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	37
23. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ლენდო ჯგუფის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ლენდო ჯგუფის (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაშიფრა ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით ზარალის რეზერვის საწყისიდან საბოლოო ნაშთამდე რეკონსილაცია, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი შემდეგი ცვლილებები: ზარალის რეზერვის ცვლილება, რომელიც შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით, რომელიც შეფასებულია სესხის არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ტოლი თანხითა და ფინანსური აქტივების ცვლილება, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია, როგორც ეს ფასს 7-ის მიხედვით მოითხოვება (პუნქტი 35თ), რაც წარმოადგენს ფასს-ის მოთხოვნებიდან გადახვევას.

ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაშიფრა ფინანსური აქტივების მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, საკრედიტო რისკის რეიტინგი საფეხურების მიხედვით და ინფორმაცია სესხის გაცემის ვალდებულებებსა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებზე საკრედიტო რისკის გავლენის შესახებ, რომლისთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ტოლი თანხით, სესხის არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალის ტოლი თანხითა და ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებია, როგორც ეს ფასს 7-ის მიხედვით მოითხოვება (პუნქტი 35თ), რაც წარმოადგენს ფასს-ის მოთხოვნებიდან გადახვევას.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 6,433,992 ლარი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამ თარიღისათვის ჯგუფს უფიქსირდება 8,452,609 ლარის უარყოფითი კაპიტალი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გაცვეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა

მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დაავადების ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის #SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2019

მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებისა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ყუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის #SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2019

ლენდო ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	8,022,417	1,000,556
გაცემული სესხები	7	31,896,233	50,433,335
ძირითადი საშუალებები	8	2,019	489,827
არამატერიალური აქტივები		13,443	40,208
სხვა აქტივები	9	130,944	1,077,596
საგადასახადო აქტივი		260,933	433,198
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	10	452,491	310,007
მთლიანი აქტივები		40,778,480	53,784,727
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	41,790,379	73,189,853
სხვა ვალდებულებები	12	7,440,710	4,358,718
მთლიანი ვალდებულებები		49,231,089	77,548,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	16,239,968	263,043
დაგროვილი ზარალი		(24,692,577)	(24,026,887)
მთლიანი კაპიტალი		(8,452,609)	(23,763,844)
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		40,778,480	53,784,727

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 24 სექტემბრისთვის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ გიორგი რამაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ გიგა გრიგოლია

10-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლენდო ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	8,022,417	1,000,556
გაცემული სესხები	7	31,896,233	50,433,335
ძირითადი საშუალებები	8	2,019	489,827
არამატერიალური აქტივები		13,443	40,208
სხვა აქტივები	9	130,944	1,077,596
საგადასახადო აქტივი		260,933	433,198
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	10	452,491	310,007
მთლიანი აქტივები		40,778,480	53,784,727
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	41,790,379	73,189,853
სხვა ვალდებულებები	12	7,440,710	4,358,718
მთლიანი ვალდებულებები		49,231,089	77,548,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	16,239,968	263,043
დაგროვილი ზარალი		(24,692,577)	(24,026,887)
მთლიანი კაპიტალი		(8,452,609)	(23,763,844)
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		40,778,480	53,784,727

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 24 სექტემბრისთვის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გიორგი რამაზაშვილი

ფინანსური მენეჯერი

გიგა გრიგოლია



10-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლენდო ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	14	48,625,320	35,150,080
საპროცენტო ხარჯი	14	(11,564,226)	(7,351,049)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		37,061,094	27,799,031
სესხების გაუფასურების ხარჯი	7	(39,178,641)	(24,150,121)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		(2,117,547)	3,648,910
სხვა შემოსავალი, წმინდა	15	5,204,926	3,008,587
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	16	2,933,052	(1,163,548)
საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	17	(9,468,644)	(10,164,305)
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	18	(3,023,067)	-
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი		(92,617)	(6,835,530)
ზარალი დაბეგვრამდე		(6,563,897)	(11,505,886)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	10	129,905	(124,628)
მთლიანი სრული ზარალი		(6,433,992)	(11,630,514)

10-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლენდო ჯგუფი

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(12,396,373)	(12,396,373)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
ფულადი შენატანით	263,043	-	263,043
მთლიანი სრული ზარალი	-	(11,630,514)	(11,630,514)
2017 წლის 31 დეკემბერი	263,043	(24,026,887)	(23,763,844)
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება - ფასს 9	-	5,768,302	5,768,302
2018 წლის 1 იანვარი - გადაანგარიშებული	263,043	(18,258,585)	(17,995,542)
საწესდებო კაპიტალის ზრდა:			
ფულადი შენატანით	244,095	-	244,095
სესხის კონვერტირებით	15,732,830	-	15,732,830
მთლიანი სრული ზარალი	-	(6,433,992)	(6,433,992)
2018 წლის 31 დეკემბერი	16,239,968	(24,692,577)	(8,452,609)

10-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლენდო ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი დაბეგვრამდე		(6,563,897)	(11,505,886)
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	7	39,178,641	24,150,121
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		(5,863,602)	5,338,067
ცვეთა და ამორტიზაცია	17	416,816	628,200
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	18	3,023,067	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული წმინდა მოგება		(179,533)	-
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა (მოგება)/ზარალი		92,617	6,835,530
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		30,104,109	25,446,032
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/შემცირება:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		(2,341,154)	(44,238,295)
სხვა აქტივები		469,360	(522,499)
საგადასახადო აქტივი		133,363	(525,418)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		2,679,566	3,580,835
ფულადი ნაკადების შემოძინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		31,045,244	(16,259,345)
გადახდილი პროცენტი		(2,280,386)	(6,884,807)
გადახდილი მოგების გადასახადი		(12,579)	(1,081,259)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		28,752,279	(24,225,411)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(232,374)	(316,760)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(2,102)	(31,753)
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტის შესყიდვის წმინდა ეფექტი		56,769	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(177,707)	(348,513)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
წმინდა ცვლილება მიღებულ სესხებში		(22,223,179)	22,857,955
საწესდებო კაპიტალის ზრდა		244,095	263,043
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან		(21,979,084)	23,120,998
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		6,595,488	(1,452,926)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,000,556	2,116,492
გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი		426,373	336,990
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		8,022,417	1,000,556

10-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ჯგუფი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდოს (შემდგომში, „დედა კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიისთვის (შემდგომში, ერთდროულად „ჯგუფი“ ან „ლენდო ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის. შვილობილი კომპანია შპს ტიო ჯგუფის წევრი გახდა 2018 წლის ბოლოს. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-18 შენიშვნაში.

დედა კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2015 წლის 8 დეკემბერს და საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2016 წლის დასაწყისში. დედა კომპანია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404504844.

ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ჯგუფი ფილიალების ფართო ქსელის საშუალებით მომხმარებელს სთავაზობს 30 დან 720 დღემდე ვადით სესხებს.

შპს დინდინ ჰოლდინგი არის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ჯგუფის ძირითადი მმართველი ორგანო არის პარტნიორების საერთო კრება. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება პარტნიორების მიერ დანიშნული დირექტორის ზედამხედველობით. ჯგუფს ასევე ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან.

ჯგუფის იურიდიული მისამართია ცოტნე დადიანის ქუჩა #7, თბილისი, საქართველო.

ბ) ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 1 სექტემბრიდან, მომხმარებელზე სესხის გაცემისას მისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50% წლის განმავლობაში (ადრე ეს მაჩვენებელი შეადგენდა 100%-ს)

2. მომზადების საფუძველები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულია დამრგვალების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 6,433,992 ლარი და ამ თარიღისათვის ჯგუფს უფიქსირდება 8,452,609 ლარის უარყოფითი კაპიტალი. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს ჯგუფის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას. ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ზრდაზე დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია 23-ე შენიშვნაში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი გადავიდა ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9-ზე და ფასს 15-ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადანაგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ჯგუფის შეფასებით ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს. ფასს 9-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების დეტალები გაშიფრულია მე-3 და მე-7 შენიშვნებში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც არ არის ძალაში შესული

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა დაცვა სავალდებულოა მომავალი საანგარიშგებო პერიოდებიდან და რომლებიც ჯგუფს არ დაუნერგავს ნაადრევად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ფასს 16 იჯარა (სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი პერიოდიდან)

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ყოვლისმომცველ მოდელს იჯარის საიდენტიფიკაციოდ. შეიცავს შეთანხმებებს და ბუღალტრულ გათვლებს, როგორც მეიჯარისთვის, ისე მოიჯარისთვის. ფასს 16 ზედამხედველობას უწევს მიმდინარე იჯარებს, რომლებიც შესულია ბასს 17-ში - იჯარები და მასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები, მას შემდეგ, რაც ის გახდება ეფექტური.

ფასს 16 განასხვავებს იჯარებს და მომსახურების ხელშეკრულებებს, თუ განსაზღვრული აქტივი კონტროლდება მომხმარებლის მხრიდან. განსხვავებები ფინანსურ და საოპერაციო იჯარას შორის ამოღებულია და ჩანაცვლებულია მოდელით, სადაც აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულებები უნდა იქნეს განსაზღვრული ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა. აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა მიიღო ბასსკ-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოშვებული ფასს 9, საწყისი აღიარების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). ფასს 9-ის მიღება აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში.

ჯგუფმა აირჩია ფასს 9-ის გათავისუფლება, არ შეეცვალა შესადარისი პერიოდი, საწყისი აღიარებისას.

სტანდარტზე გადასვლის თარიღში განხორციელებული ნებისმიერი კორექტირება, რომელიც შეეხო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს, აღიარდა საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე და მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, განმარტებითი შენიშვნის მიზნებისათვის, ფასს 7-ის შესაბამისი შენიშვნები აისახა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე. ბასს 39-ით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც დაკავშირებულია 2017 წლის ფინანსურ წელთან, მოცემულია წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 9-ის მიღება აისახა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, ასევე ფინანსური აქტივების გაუფასურების სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებაში.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. სტანდარტი აუქმებს ბასს 39-ის შემდეგ კატეგორიებს: დაფარვის ვადამდე ფლობილი, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად გამიზნული.

ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის.

ფასს 9 ანაცვლებს „გაწეული ზარალის“ მოდელს ბასს 39-ში, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე გამოიყენება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან მიმართებაში, და არა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისთვის. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე, ვიდრე ბასს 39-ის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჯგუფი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ჯგუფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ჯგუფი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჯგუფმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ჯგუფმა გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ჯგუფი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის, ან
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა ჯგუფის აღრიცხვა გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხთან დაკავშირებით, კერძოდ ბასს 39-ის მიდგომა - „გაწეული ზარალი“ (CL) ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებულმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელმა. ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ჯგუფის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შემენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები აღიარა ყველა სადებეტო ინსტრუმენტისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

გაუფასურების ზარალისა და ანარიცხის განსაზღვრებამ გადაინაცვლა „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელიდან, რომელიც ბასს 39-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავდა მას შემდეგ, რაც ზარალის გამომწვევი მოვლენა უკვე მომხდარი იყო, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელზე, რომელიც ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფი ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ჯგუფი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ჯგუფი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ჯგუფი აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

ჯგუფი დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ჯგუფის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების;

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

PD დაანგარიშდება 90 დღის განმავლობაში პორტფელის ისტორიული ცვლილების მონაცემების საშუალებით. ამ მონაცემების გამოყენებით ხდება მონაცემთა მატრიცის შექმნა (3-თვის ცვლილება). საბოლოო PD კოეფიციენტი შეფასებულია, როგორც ბოლო 6 თვის საშუალო შეწონილი.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას დეფოლტის შემთხვევაში. ჯგუფი აფასებს LGD პარამეტრებს გადეფოლტებული სესხების ამოღების ისტორიის მიხედვით. LGD მეთოდი მოიცავს დეფოლტიდან 12 თვის შემდეგ ფულად ნაკადებს. LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფმა თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიციროს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსური ვალდებულებებად“. ჯგუფმა 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფის აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით წარმოდგენილია მე-9 და მე-12 შენიშვნებში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა.

აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკავშირებულ კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ცვდება/ამორტიზდება ორ წელზე. ღირებულებების სასარგებლო მომსახურების ვადაზე გადასანაწილებლად გამოყენებულია წრფივი ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი.

მოგების გადასახადი

პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალთან ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება, შესაბამისად, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, დროებითი განსხვავებების წარმოქმნისას აქტივებსა და ვალდებულებებისგან წარმოქმნილ საგადასახადო ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ საბალანსო მაჩვენებელს შორის. რადგან გადავადებული საგადასახადო აქტივი არ დაანგარიშდება, როდესაც აღიარდა აქტივი ან ვალდებულება, მას არ ექნება გავლენა არც ფინანსურ და არც საგადასახადო მოგება-ზარალზე. გადავადებული საგადასახადო აქტივი განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთით (და კანონმდებლობით) რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საბალანსო უწყისის თარიღისთვის და მოსალოდნელია მისი გამოყენება, როდესაც მასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი მიიღება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წარმოიქმნება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სესხის გაცემის საკომისიოს და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირებაა მომავალში გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში ან, სადაც შესაფერისია, მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ჯგუფი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების ყველა პირობას, გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი გადახედავს მის მოლოდინს გადახდილ ან მისაღებ ყველა სახის გადასახდელის შესახებ. კორექტირებული საბალანსო ღირებულება დაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით და სხვაობა აღიარდება საპროცენტო შემოსავლად ან ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს პროცენტს და გადახდილ ან გადასახდელ საკომისიოს, რომელიც გაითვალისწინება კლიენტებზე გაცემულ სესხებზე და საბანკო დეპოზიტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას.

თუ ფინანსური აქტივის ან ერთგვაროვან აქტივთა ჯგუფის ღირებულება გაუფასურების ზარალის გამო მცირდება, საპროცენტო შემოსავალი გაანგარიშდება დღევანდელი ღირებულების გათვალისწინებით (რომელიც არის ღირებულებას გამოკლებული ღირებულების კორექტირება) და მისი აღიარება გრძელდება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოყენებულია მომავალი ფულადი ნაკადების დადისკონტირებისთვის გაუფასურების ხარჯის გასაზომად.

საპროცენტო ხარჯი მოიცავს სხვა მხარისგან აღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს ან საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სხვა ჯარიმები და საკომისიოები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სესხების, ავანსებისა და სხვა მოთხოვნების შიდა უკუგების განაკვეთთან არ აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით, არამედ წრფივად გადანაწილდება პერიოდზე ან სრულად აღიარდება მიღების მომენტში. წრფივად გადანაწილება ან ერთჯერადად აღიარება დამოკიდებულია საკომისიოების და ჯარიმების შინაარსზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება სხვა საერთო შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ მცირდება სამომავლო ეკონომიკური მოგება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან იზრდება ვალდებულება, რომელიც საიმედოდაა შეფასებული.

ხარჯები აღიარდება სხვა საერთო შემოსავლების ანგარიშგებაში მაშინვე, თუ ხარჯი აღარ არის მომავალი ეკონომიკური საქმიანობის მოგების ნაწილი, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება აღარ აღიარებს ან წყვეტს მისი როგორც აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან მოსალოდნელია.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოადინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, ჯგუფი დარწმუნებულია თუ არა, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება.

ჯგუფი მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად, ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისათვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

მიმდინარე და წინა პერიოდის მონაცემების შესადარისად წარსადგენად საჭიროებისამებრ მოხდა წინა პერიოდის მონაცემების რეკლასიფიკაცია. რეკლასიფიკაციის ეფექტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2017 რეკლასიფიცირებული
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
სხვა შემოსავალი	3,142,097	(133,510)	3,008,587
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(10,297,815)	133,510	(10,164,305)

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული	-	216,323
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	5,904,580	441,730
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	63,231	35,296
ფული გზაში*	2,054,606	307,207
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	8,022,417	1,000,556

*ფული გზაში წარმოადგენს ისეთ ფულად სახსრებს, რომლებსაც მომხმარებლები იხდიან გადახდის ტერმინალებში. აღნიშნული თანხები ჯგუფს მოგვიანებით ერიცხება პროვაიდერების საშუალებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-20 შენიშვნაში.

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	კლიენტებზე გაცემული სესხები	სხვა სესხები	სულ გაცემული სესხები
გაცემული სესხები	49,735,772	157,917	49,893,689
დარიცხული პროცენტები	2,729,622	-	2,729,622
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	52,465,394	157,917	52,623,311
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(20,727,078)	-	(20,727,078)
წმინდა გაცემული სესხები	31,738,316	157,917	31,896,233

გაცემული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	კლიენტებზე გაცემული სესხები	სხვა სესხები	სულ გაცემული სესხები
გაცემული სესხები	72,446,353	760,577	73,206,930
დარიცხული პროცენტები	3,134,240	25,086	3,159,326
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	75,580,593	785,663	76,366,256
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(25,932,921)	-	(25,932,921)
წმინდა გაცემული სესხები	49,647,672	785,663	50,433,335

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	(25,932,921)	(13,250,555)
ფასს 9 კორექტირება გაუნაწილებელ მოგებაზე	5,768,302	-
2018 წლის 1 იანვრისთვის	(20,164,619)	(13,250,555)
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(39,178,641)	(24,150,121)
შესყიდული პორტფელის რეზერვი	(1,381,414)	(1,115,048)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	39,997,596	12,582,803
2018 წლის 31 დეკემბერი	(20,727,078)	(25,932,921)

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხი	სულ კლიენტზე გაცემული სესხები	გაუფასურების რეზერვი	ნაშთი წლის ბოლოს
მიმდინარე	37,551,159	(8,073,349)	29,477,810
90 დღემდე ვადაგადაცილება*	8,728,493	(6,847,553)	1,880,940
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	6,185,742	(5,806,176)	379,566
სულ	52,465,394	(20,727,078)	31,738,316

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლიენტებზე გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხი	სულ კლიენტზე გაცემული სესხები	გაუფასურების რეზერვი	ნაშთი წლის ბოლოს
მიმდინარე	55,241,384	(8,629,579)	46,611,805
90 დღემდე ვადაგადაცილება*	6,207,901	(3,781,820)	2,426,081
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	14,131,308	(13,521,522)	609,786
სულ	75,580,593	(25,932,921)	49,647,672

*ჯგუფი ასევე მოიცავს 90 დღიან ვადაგადაცილებულ სესხებს.

გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება ბასს 39 და ფასს 9 მიხედვით 2018 წლის 1 იანვრისთვის მოცემულია შემდეგნაირად:

	ბასს 39 საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	გადაანგარიშება	ფასს 9 საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრისთვის
საწყისი ბალანსი ბასს 39 მიხედვით	50,433,335	-	-
გადაანგარიშება: ECL რეზერვი	-	5,768,302	-
საწყისი ბალანსი ფასს 9 მიხედვით	-	-	56,201,637
სულ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაცემული სესხები	50,433,335	5,768,302	56,201,637

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	მანქანები	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	446,355	253,772	219,002	27,063	946,192
შემოსვლა	12,362	164,279	140,119	-	316,760
გასვლა	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	458,717	418,051	359,121	27,063	1,262,952
შემოსვლა	50,641	18,972	164,780	-	234,393
გასვლა	(507,339)	(437,023)	(523,901)	(27,063)	(1,495,326)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,019	-	-	-	2,019
დაგროვილი ცვეთა					
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(87,897)	(54,179)	(45,952)	(2,972)	(191,000)
ცვეთა წლის განმავლობაში	(114,380)	(269,612)	(186,341)	(11,792)	(582,125)
გასული აქტივების		-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა					
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(202,277)	(323,791)	(232,293)	(14,764)	(773,125)
ცვეთა წლის განმავლობაში	(51,895)	(204,063)	(123,632)	(9,650)	(389,240)
გასული აქტივების	254,172	527,854	355,925	24,414	1,162,365
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	256,440	94,260	126,828	12,299	489,827
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,019	-	-	-	2,019

2018 წლის 1 სექტემბერს ჯგუფმა მიყიდა ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები შპს „ბიარესს“, რომელიც უწევს რამდენიმე ტიპის მომსახურებას. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-17 შენიშვნაში.

9. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სხვა ფინანსური აქტივები		
გაციდული სესხის პორტფელიდან წარმოქმნილი მოთხოვნა	110,000	986,304
	110,000	986,304
სხვა არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	20,944	91,292
სულ სხვა აქტივები	130,944	1,077,596

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. გადასახადები

15%-იანი დროებითი სხვაობები:	31 დეკემბერი 2016	დამატებული (გამოკლებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2017	დამატებული (გამოკლებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები	1,987,583	1,902,355	3,889,938	(780,876)	3,109,062
ძირითადი საშუალებები	(40,828)	63,326	22,498	(22,498)	-
მიღებული სესხები	127,057	69,936	196,993	(69,891)	127,102
სხვა ვალდებულებები	71,262	19,254	90,516	1,015,749	1,106,265
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	-	-	-	6,183,333	6,183,333
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,145,074	2,054,871	4,199,945	6,325,817	10,525,762
აუღიარებელი დროებითი სხვაობები:					
გაცემული სესხები	(1,987,583)	(1,902,355)	(3,889,938)	780,876	(3,109,062)
სხვა ვალდებულებები	-	-	-	(780,876)	(780,876)
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	-	-	-	(6,183,333)	(6,183,333)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	157,491	152,516	310,007	142,484	452,491

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მიმდინარე მოგების გადასახადი	(12,579)	(277,144)
დროებითი სხვაობების ეფექტი	142,484	152,516
მოგების გადასახადის ხარჯი	129,905	(124,628)

მოგების გადასახადის სარგებლის/(ხარჯის) რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2018	2017
ზარალი დაბეგრამდე	(6,563,897)	(11,505,886)
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	984,585	1,725,883
აუღიარებელი დროებითი სხვაობების ეფექტი	(6,183,333)	(1,902,355)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	5,328,653	51,844
მოგების გადასახადის ხარჯი	129,905	(124,628)

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2018		31 დეკემბერი 2017	
				ძირი	დარიცხული პროცენტი	ძირი	დარიცხული პროცენტი
ურთიერთდაკავშირების პლატფორმა*	ევრო			36,655,473	299,923	45,409,007	379,245
ურთიერთდაკავშირების პლატფორმა*	ლარი			1,081,763	16,535	3,135,688	29,245
შპს დინდინ ჰოლდინგს	ევრო	12.5%	31-12-19	1,772,067	491,687	-	-
ლუთეა ჰოლდინგს ლიმიტიდ	ევრო	12.5%	28-02-19	951,102	-	21,531,522	886,446
სია რტო ინვესტ	ევრო	12.2%	31-12-19	482,629	39,200	-	-
სს კბ ინვესტმენტს	ევრო	12%	31-12-18	-	-	1,800,350	18,350
სულ მიღებული სესხები				40,943,034	847,345	71,876,567	1,313,286

* დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-12 შენიშვნაში

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	73,189,853	43,413,782
ფულადი ნაკადები	(21,717,982)	15,973,148
არაფულადი ნაკადები:		
კაპიტალში კონვერტირებული სესხი (შენიშვნა 13)	(15,732,830)	-
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	11,564,226	7,351,049
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	(309,882)	6,451,874
გადახურვა*	(5,203,006)	-
ნაშთი წლის ბოლოს	41,790,379	73,189,853

*2018 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების მიხედვით, განხორციელდა ჯგუფის მიერ ლუთეა ჰოლდინგს ლიმიტიდისგან მიღებული სესხისა და ასევე, ჯგუფის მიერ შპს ფინკო ინვესტიტისთვის მიცემული სესხის გადახურვა 5,203,006 ლარის ოდენობით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შუალედური ანგარიში*	6,998,579	3,412,711
მიღებული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	340,007	812,727
შვებულების ანაზღაურება	36,518	117,857
სხვა	65,606	15,423
სულ სხვა ვალდებულებები	7,440,710	4,358,718

*საკუთარი ბიზნესის დაფინანსებისათვის ჯგუფს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთდაკავშირების პლატფორმასთან. აღნიშნული პლატფორმა ინვესტორებს და მსესხებლებს აკავშირებს არასაბანკო გამსესხებლებთან. ეს არის ტრადიციული საბანკო სისტემის მარტივი და გამჭვირვალე ალტერნატივა. ურთიერთდაკავშირების პლატფორმის დახმარებით ინვესტორებს საშუალება ეძლევათ ევროპის მასშტაბით გაცემული სესხები დააფინანსონ. ამავდროულად, სესხის გამცემს (ამ შემთხვევაში ჯგუფს), პლატფორმის საშუალებით შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ინვესტორებს, რომლებსაც სურთ არსებული სესხების დაფინანსება. წლის ნებისმიერ დროს კომპანიას აქვს გარკვეული რაოდენობის მოთხოვნები და ვალდებულებები ურთიერთდაკავშირების პლატფორმის მიმართ. მოთხოვნები წარმოიქმნება იმ მომენტში, როდესაც ინვესტორი აფინანსებს სესხს. ამავდროულად, ვალდებულება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სესხი არის გადასახდელი და კომპანიას აქვს ვალდებულება პლატფორმას გადაურიცხოს თანხა. ზემოხსენებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნეტო თანხა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილია შუალედური ანგარიშის სახით. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ურთიერთდაკავშირების პლატფორმის შუალედურ ანგარიშზე შესაბამისად ჰქონდა 6,998,579 ლარის და 3,412,711 ლარის უარყოფითი ბალანსი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ურთიერთდაკავშირების პლატფორმასთან არსებული ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო 2018 წლის 14 დეკემბერს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქართუ“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფმა გაყიდა 41,379,224 ლარის ღირებულების პორტფელი (ძირი - 34,510,794 ლარი, დარიცხული პროცენტი - 6,868,430 ლარი) 4,747,396 ლარად. გაყიდული სესხების უმეტესობა დაფინანსებული იყო ურთიერთდაკავშირების პლატფორმის საშუალებით. შედეგად, ჯგუფს წარმოექმნა შესაბამისი თანხების დაფარვის ვალდებულება. ზემოთხსენებული ვალდებულების ძირითადი ნაწილი გადასახდელია 2019 წლის დასაწყისში.

13. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 30 ივლისს ჯგუფის მფლობელმა საწესდებო კაპიტალი გაზარდა ფულადი შენატანით 244,095 ლარი ოდენობით (85,000 ევრო). მოგვიანებით, 2018 წლის 11 დეკემბერს საწესდებო კაპიტალი ისევ გაიზარდა არაფულადი შენატანით (სესხის კონვერტაცია) 15,732,830 ლარის ოდენობით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილია:	2018	2017
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	48,397,201	35,013,291
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	203,740	121,382
ბანკში განთავსებული თანხებიდან	24,379	15,407
სულ საპროცენტო შემოსავალი	48,625,320	35,150,080
საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილია:		
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხებიდან	(2,301,220)	(2,319,141)
სხვა მიღებული სესხებიდან	(9,263,006)	(5,031,908)
სულ საპროცენტო ხარჯი	(11,564,226)	(7,351,049)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	37,061,094	27,799,031

15. სხვა შემოსავალი, წმინდა

	2018	2017
ჯარიმები ვადაგადაცილებულ სესხებზე	4,218,780	2,950,784
ადრე დაფარვის საკომისიო	474,516	-
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	179,533	-
სხვა, წმინდა	332,097	57,803
სხვა შემოსავალი, წმინდა	5,204,926	3,008,587

16. გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

	2018	2017
გასაყიდი ფასი	4,914,121	1,029,281
სულ გასაყიდი ფასი	4,914,121	1,029,281
სულ გაყიდული სესხების თავდაპირველი ღირებულება	(41,978,665)	(14,775,632)
სულ გაყიდული სესხების გაუფასურების რეზერვი	39,997,596	12,582,803
გაყიდული სესხების წმინდა ღირებულება	(1,981,069)	(2,192,829)
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	2,933,052	(1,163,548)

2018 და 2017 წელს კომპანიამ გაყიდა გაუფასურებული სესხის პორტფელი. 2017 წელს საშუალო გასაყიდი ფასი განისაზღვრა პორტფელის ბრუტო ღირებულების 6.5%-ით. 2018 წელს ძირითადი გაყიდვის ტრანზაქცია წლის ბოლოს მოხდა. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-12 შენიშვნაში.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა ანაზღაურება	(2,083,713)	(2,478,761)
მომსახურების გადასახადი*	(1,987,793)	-
განაცხადის განხილვისა და სესხის ამოღების ხარჯი	(1,330,145)	(1,393,884)
იჯარა და კომუნალური გადასახადები	(806,738)	(1,303,140)
სხვა ფინანსური ხარჯი**	(794,354)	(1,168,485)
მარკეტინგული ხარჯები	(705,127)	(1,318,612)
კომპიუტერულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(693,741)	(693,369)
ცვტა და ამორტიზაცია	(416,816)	(628,200)
პროფესიული მომსახურება***	(167,207)	(228,249)
კომუნიკაცია	(109,777)	(168,536)
ბანკის საკომისიო	(100,325)	(186,963)
სხვა	(272,908)	(596,106)
სულ საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	(9,468,644)	(10,164,305)

*2018 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ბიარესი“ ჯგუფს უწევს შემდეგი ტიპის მომსახურებებს: მარკეტინგი, მომხმარებელთა მომსახურება, ფინანსური, ვადაგადაცდილებული პორტფელის მართვასა და კომპიუტერულ მომსახურებას.

**სხვა ფინანსური ხარჯი მოიცავს ურთიერთდაკავშირების პლატფორმიდან მიღებულ შუამავლობის სერვისის ხარჯს. დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-12 შენიშვნაში.

***პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტის ხარჯს, რომელიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 17,742 ლარს და 15,290 ლარს დღგ-ს გარეშე, შესაბამისად.

18. საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტის შეძენა

2018 წლის 19 დეკემბერს დედა კომპანიამ შეისყიდა შვილობილის 100% წილი 1,000 ლარად შპს რტო ინვესტიკისგან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია). შვილობილის აქტივებისა და ვალდებულებების ასახვა შეძენის მომენტიდან მოხდა საბალანსო ღირებულებით, რადგან დედა კომპანია და შვილობილი არიან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები. შვილობილის აქტივები გადმოცემის მომენტისთვის შეადგენს 70,045 ლარს, მათ შორის ფული და ფულის ეკვივალენტების ღირებულება შეადგენს 57,769 ლარს. გადმოცემული ვალდებულებების ღირებულება გადმოცემის მომენტისთვის შეადგენს 3,094,112 ლარს, ხოლო დაგროვილი ზარალის ჯამური ღირებულება 3,024,067 ლარს.

შესყიდვის მომენტში წარმოქმნილი გუდვილი შეადგენს 3,023,067 ლარს. მიმდინარე წელს გუდვილის გაუფასურების ტესტის შედეგად მოხდა მისი ჩამოწერა სრულად, რადგან ხელმძღვანელობის მოლოდინით აქტივებში მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ მოხდება. ზემოხსენებული განპირობებულია შესყიდვის თარიღისთვის შვილობილის მიერ ოპერაციების შეწყვეტით.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ჯგუფის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯგუფი იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ჯგუფი ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია, ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი, მსგავსად სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება საზედამხებდველო საბჭოს მიერ.

ჯგუფი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო მენეჯმენტის მიერ.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულის)	8,022,417	784,233
გაცემული სესხები	31,896,233	50,433,335
სხვა აქტივები	110,000	986,304
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	40,028,650	52,203,872

ჯგუფის საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება ჯგუფის ძირითადი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	11,779,517	29,322,952	687,910	41,790,379
სხვა ვალდებულებები	7,440,710	-	-	7,440,710
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,220,227	29,322,952	687,910	49,231,089

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	20,676,252	34,632,514	40,904,698	96,213,464
სხვა ვალდებულებები	4,358,718	-	-	4,358,718
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,034,970	34,632,514	40,904,698	100,572,182

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,959,990	11,351	51,076
გაცემული სესხები	31,738,316	157,917	-
სხვა აქტივები	110,000	-	-
სულ ფინანსური აქტივები	39,808,306	169,268	51,076
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	1,098,298	40,692,081	-
სხვა ვალდებულებები	695,025	6,745,685	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,793,323	47,437,766	-
ღია საბალანსო პოზიცია	38,014,983	(47,268,498)	51,076

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	960,636	27,157	12,763
გაცემული სესხები	49,647,672	785,663	-
სხვა აქტივები	-	986,304	-
სულ ფინანსური აქტივები	50,608,308	1,799,124	12,763
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	3,164,932	70,024,921	-
სხვა ვალდებულებები	574,510	3,650,860	133,348
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,739,442	73,675,781	133,348
ღია საბალანსო პოზიცია	46,868,866	(71,876,657)	(120,585)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბაზრო გაცვლითი კურსის ცვლილების მგრძნობელობა	2018		2017	
	(ლარი/ევრო)	(ლარი / დოლარი)	(ლარი/ევრო)	(ლარი / დოლარი)
20% ზრდა	(9,453,700)	10,215	(14,375,331)	(24,117)
20% შემცირება	9,453,700	(10,215)	14,375,331	24,117

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ინფორმაცია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ვალდებულებებზე მოცემულია ზემოთ ლიკვიდურობის რისკის შენიშვნაში.

ჯგუფის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივი და ვალდებულება აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

21. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;
- ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგების არე	დედა კომპანია	სსკქ *	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
მიღებული სესხები	2,263,754	951,102	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საპროცენტო ხარჯი	(8,761)	(2,292,459)	-
საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	-	-	(188,480)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგების არე	დედა კომპანია	სსკქ *	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სხვა აქტივები	986,303	-	-
გაცემული სესხები	785,663	-	-
მიღებული სესხები	-	22,417,968	-
სხვა ვალდებულებები	219,330	-	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საპროცენტო შემოსავალი	25,086	-	-
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	(1,151,040)	-	-
საპროცენტო ხარჯი	(2,090,553)	(228,588)	-
საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	(989,246)	-	(188,480)

*საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ.

ლენდო ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგულაციები შედის ძალაში. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით ჯგუფს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

ვალდებულებები ურთიერთდაკავშირებულ პლატფორმასთან

როგორც მე-12 შენიშვნაში არის აღნიშნული ჯგუფმა სრულად დაფარა ვალდებულებები 2019 წლის დასაწყისში.

შერწყმის პროცესი

2019 წლის 21 იანვარს ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით შვილობილი შეერწყა დედა კომპანიას. რეორგანიზაციის პროცესი დამთავრდა 2019 წლის 11 მარტს.

ცვლილებები მფლობელებსა და საწესდებო კაპიტალში

- 2019 წლის 28 თებერვალს დედა კომპანიამ გაზარდა შვილობილის საწესდებო კაპიტალი 405,000 ლარით.

- 2019 წლის 3 მაისის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, დედა კომპანიის მფლობელმა 100%-ანი წილი მიყიდა უნივერსალურ საკრედიტო ორგანიზაცია დსს ვარკს ეი ემ.

- 2019 წლის 30 ივლისიდან 2019 წლის 12 აგვისტომდე მფლობელმა (უნივერსალურ საკრედიტო ორგანიზაცია დსს ვარკს ეი ემ) გაზარდა დედა კომპანიის საწესდებო კაპიტალი ფულადი შენატანით 1,800,000 ევროს ოდენობით.

საგადასახადო შემოწმება

2018 წლის 7 ივნისს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის N 14220 გამოცემული ბრძანებით დედა კომპანიაში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება. 2019 წლის 13 მარტს შემოსავლების სამსახურის ბრძანების მიხედვით დედა კომპანიას დაერიცხა ბიუჯეტში გადასახდელად 1,469,656 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 896,348 ლარი, ჯარიმა 573,308 ლარი. ხელმძღვანელობა აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და შემოსავლების სამსახურში შეტანილი შეთანხმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მოხდება ჯარიმის პატიება და ძირითადი გადასახდელი თანხის მნიშვნელოვნად შემცირება. ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე შემოსავლების სამსახურს საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ მიუღია.